საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-12/10061
16/09/2020

10061-2-12-2-202009161019

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაგეგმილია შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აგარა-ყორნისი-ცხინვალის საავტომობილო გზის კმ1 (0+650)-ზე მდინარე სურამულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება, რისთვისაც 2019 წლის 19 თებერვალს გაიცა სკოპინგის დასკვნა №26.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გიგზავნით, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-10 მუხლის შესაბამისად მომზადებულ, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის აგარა-ყორნისი-ცხინვალის საავტომობილო გზის კმ1 (0+650)-ზე მდინარე სურამულაზე ახალი სახიდე გადასასვლელის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს.

გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი:
გზშ-ს ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზ;
არატექნიკური რეზიუმე ნაბეჭდი ვერსია 1 ეგზ;
გზშ-ს ელ. ვერსია, არატექნიკური რეზიუმეს ელ. ვერსია, ორთო ფოტო და Shp ფაილები - 1 დისკი;
მოსაკრებელი გზშ-ს ნებართვაზე 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ალექსანდრე თევდორაძე

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge